


# ნიანგი №16

— ახ, ერთი მოსწყდებოდეს და პირდაპირ პირში ჩამივარდებოდეს!

12 699

# საჩქარო ბარათი

## სოფ. რუისი სანდრო გელდიაშვილს

სალამი და გამარჯვება ჩემს ძმასა და პირიზიარება სანდროს. ზრასტი, ზნაკომ, როგორა ხარ კაცო! თუმცა რაღა როგორა ხარ, შენი ხმა მეფე ერეკლეს დამბაჩასავით ზქუხს და გრგვინავს.

ხოფელ რუისში დაგრჩენია ბურთი და მოედანი, თურმე არ გაგაჩნია არც პარტიული, არც უპარტიო, ყველას ერთნაირად ურტყამ და უბრაგუნებ თავპირში

მალადეც ძმაო, მალადეც, ბიჭი ხარ და!

ეგ კი არა და, ერთი ის გამაგებინე, მაგას როგორ და ახერხებ, რომ არც როდის საქმეს ხელს არ ჰკიდებ და ყოველ დღე კი ცივ ცივი, დანივრული დედლებით ჰქეიფობ!

მე შენი ის უფრო მომწონს, რომ არც შენ მოგვარე ხალხს ინდობ და ცემა თუა—პირველი იერიში მათზე მიგაქვს. ხომ დაუნაყე გვერდები ანდრო გელდიაშვილის ცოლს, შაქრო გელდიაშვილის ოჯახიც ხომ დააწიოკე ცემა-ტყეპით! მიკვირს მასწავლებელი ქალი ტასო დავითაშვილი რომ დასტოვე უცემი და ცარიელი ლანძღვა-გინება აკმარე.

როგორ იყო—კოლექტივის წევრს ღარიბ გლეხს კლიმიაშვილს რომ მიუხტი შუაღამისას და გვერდები დაუზილე? ნამდვილი ყარამან-ყათლანი ყოფილხარ ძმაო, რომ შენის შიშით ვერც სახკო, ვერც კომუჯრედი კრინტს ვერ სძრავენ. ეგრე უნდა მაგათ. უშნო და უსაქმურ ხალხზე ეს ახია. ეგ კი არა, რაკი ასე გაგათამამეს, კომუჯრედის მდივანსაც და სახკოს თავმჯდომარესაც, რომ შენებურად თითო მოხცხო—მათთვის ალალი იქნება.

იმედია შენი „გმირობის“ ახალ-ახალ ამბებს არ მოგვაკლებ.

შენი მუთაქა უთაქაშვილი.

# თიანეთი

ალმასკომის მდივნად არის
ვინმე ლადო წიკლაური,
მასთან ქალი ხომ ვერ მივა
თუნდაც იყოს შინაური.
ჩვენი ლადო ნაცადია
აღარ უნდა თქმაო
როცა ქალებს დაინახავს
ელოცება ყბაო,
საარშიყოდ მოლესილთან
ქალი ვერ შევაო,
ასეთ ალმასკომის მდივანს
უნდა კინწის კვრაო.

ვარდენი.

# ერთ ბედს ქვეშა ვართ ლავაშ მე და შენ

ს. კუხში სახალხო სახლის საალმშენებლო კომისიის თავმჯდომარემ—კოწია გაბრიელის ძე კაკაბაძემ „გააიმასქნა“ 2.000 მანეთი სახალხო ფული.

კორესპონდენციიდან.



— თაგვი. — კოწ- ჩემო, რამ დაგალონა! შენც ჩემი ბედი ხომ არ გელის?

# პაქსაშვილის მოღვაწეობა

ქიათურის რაიონის საბჭოთა მუშაკების ადგილკომს წელს 336 კაცისათვის უნდა შეესწავლებინა წერა-კითხვა, მაგრამ ერთ კაცსაც არ შეასწავლა.

მიზეზი?

მიზეზი ის გახლავთ, რომ ადგილკომის თავმჯდომარე პაქსაშვილი წერა-კითხვის სწავლების დიდი წინააღმდეგია და ამისათვის ასეთ ხერხს იყენებს.

ერთ დღეს მასთან მივიდა წერა-კითხვის უცოდინარი და სთხოვა:

— გავიგე, წერა-კითხვის სკოლის გახსნას აპირებთ, იქნებ მეც მიმიღოთ და წერა-კითხვა შემასწავლოთ.

— მარქსის კაპიტალი იცი? — ჰკითხა პაქსაშვილმა.

— არა. — იყო მოკლე პასუხი.

— არა-და. ჯერ წადი მარქსის კაპიტალი შეისწავლე, მერე მოდი და მიგიღებთო.

336 კაცი დღეს მარქსის კაპიტალის ძებნაშია. წერა-კითხვის სკოლისათვის ემზადებიან.

ჩიტირეკია.*)

*) ჩიტირეკია ამ წერილის დამწერს კი არ უნდა ერქვას, ეს სახელი პაქსაშვილს უფრო მოუხდებოდა.

რედ.

# დეპეშა-ზესტაფონიდან

## სახდაზღვევის სააგენტოს გამგე კახნიაშვილს

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

სახდაზღვევის სააგენტოს საქმეები, დავთრები, მიწერ-მოწერა ერთმანეთში არიე, რომ ძაღლი პატრონს ვერ სცნობდეს. განსაკუთრებით არიე დაზღვევის გამოსაღების საბუთები და უწყებები, რომ ვერც ერთმა რევიზიამ ვერაფერი გამოარკვიოს.

საბუთების ასარევად განსაკუთრებით უკეთესია მთელი ჩვენი კანცელარია დერეფანში გამოიტანო, რომ წვიმამ და ქარმა მთლად წაშალოს მათი ნიშანწყალი.

დანამდვილებით გავიგე. აპირობენ ჩვენი მუშაობის შემოწმებას. მე რომ ათას მანეთამდე შემომეჭამა, ეს თანხა დავთრებში სულ არ მაქვს გატარებული. რაც შეეხება შენგან გაფლანგულ 1.148 მანეთს—ის მარტოუბის წიგნში მაქვს აღნიშნული. რახან საბუთებს და დავთრებს ერთმანეთში არევ გაფლანგული თანხის აღმოჩენა შეუძლებელი გახდება.

საერთოდ ნურაფრის გეშინიან. ყველაფერი ეს რომ გამოაშკარავდეს კიდეც, ამიერ-კავკასიის სახდაზღვევის სააგენტოში ჩვენი ძმაბიჭები დამპირდნენ, რომ ამ საქმეს მიაფუჩეჩებენ და ჩაფარცხავენ, ოღონდ სალაროდან ერთი ოციოდე თუმანი კიდევ აწაპნე პურ-მარილის საჭიროებათათვის. მეც ამ დღეებში ჩამოვალ.

მართლა, რაზე დამავიწყდებოდა! თუ ვინიცობაა ჩემს ჩამოსვლამდე დაგიწყეს რევიზია, შენ ყველაფერი მე გადმომაბრალე.

სამაგიეროდ მე რომ ჩამოვალ, შენ წადი სადმე და ახლა მე გადმოგაბრალებ შენ...

ასე ვატრიალოთ საქმე სანამ ჩაიფარცხებოდეს.

შენი ერთგული თანაშემწე კანდელაკი.

# ჩუმათელეთი

ჩუმათელეთის არტელსა
დათიკო თავმჯდომარეობს,
ის ვაჟარ ულუმბელაშვილს
ყველა საქმეში მფარველობს.
ქელეხებში და ქორწილში
არ აკლებს ღხინის ტარებას.
ნეტავ ვიცოდეთ ის როდის
მოიშლის ამ ნეტარებას?!
გეყოფათ ჩვენო დათიკო
გოგიტაშვილო გვარადა,
შენი საქმენი საგმირო
გაიგეს მთა და ბარადა!

კრაზანა.

## ტელეფონით ლონაში

რაწკ... რაწკ... რაწკ...

— ტელეფონ, ტელეფონ, თუ ძმა ხარ, ერთი სოფელ ლონას შემიერთე! ლონა არის? ნიკოლოზ ნამგალაძეს დამიძახეთ. ოჰ, ნიკოლოზ შენა ხარ? გამარჯობა შენი. ვერ მიცანი? რაო? ჰო, ჰო. მე მიხაკო სადღობელაშვილი ვარ. ამ სოფლისთვის დაუძახე კომკავშირის წევრებს სერგო დვალსა და მიშიკო ნამგალაძეს. საჩქარო კრება უნდა მოვაწყოთ, ხედავთ კოლექტივი როგორ ძლიერდება, ასე თუ წავიდა საქმე, ჩვენი გეგმები ყირაზე დატრიალდება. რაო? არ ისმის კარგად; შენ პარტიის წევრებში დატრიალდები? აბა შენ იცი, მიშიკო კომკავშირში დატრიალე, მე უპარტიოებში და ისე დავცხოთ მაგათ, რომ სულ დავთრები აერიოთ.

რაო? კრება უკვე გქონდათ? როგორი დადგენილება გამოიტანეთ? ხომ ყველა აამხედრეთ კოლექტივის წინააღმდეგ! აი მალადეც... ასე, ასე. რასაკვირველია, შენ, როგორც პარტიულს, უფრო დაგიჯერებს გლეხობა. როგორ, არტელის წევრ გლეხებში უკვე გქონდა ლაპარაკი კოლექტივის დასაშლელად? აი იცოცხლე!

ჩვენი სოფლის კულაკები შენს ამაგს არ დაივიწყებენ, ცარიელი პარტიულობა კი რა ოხრათ გინდა!..

ტელეფონ, ტელეფონ! ნიკოლოზ, ნიკოლოზ!

უჰ, ვიღაცამ შეგვიშალა ეს ოხერი. მერე როგორი საჩქარო საქმე მქონდა!

კავალერია.

## თვითმომარაგება




— ხედავ ჩვენი კოოპერატივის გამგეები როგორ გასუქდნენ? დროზე გამოვცვალოთ, თორემ მთლად შეგვჭამენ!

— შენ სულელი ხომ არა ხარ! ახლები რომ ავირჩიოთ, სანამ ახლა ისინი გასუქდებიან, მთლად დაგვღუპავენ!

## მოვალეობის მსხვერპლი

რა საშინელი გამანადგურებელი მწერი ყოფილა!

ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს — ასეთი პატარა, ულონო არსება ანადგურებდეს მოსავალს და ზოგჯერ, წარმოიდგინეთ, ადამიანებსაც კი.

არა გჯერათ?

ნამდვილად გეუბნებით, ადამიანებსაც კი.

აი შემთხვევა: სოფელ ქსოვრისში და მის მიდამოებში ამ ერთი თვის წინეთ გაჩნდა ეს საშინელი მწერი და განადგურება უწყო ნათესებს. საჩქაროდ ვაცნობეთ რაიონს და დახმარება ვითხოვეთ, რომელმაც მართლაც არ დააყოვნა და აგრონომი გამოგვიგზავნა. მან ერთ დღეს მოხსენება გააკეთა ჭირნახულის მოვლის საჭიროებაზე, მეორე დღეს მავნებლებზე, მესამე დღეს თვით კალიაზე და მეოთხე დღეს კი უკანვე გაემგზავრა კალიის საწინააღმდეგოდ საომარ იარაღების მოსატანად.

მას აქეთ გავიდა ერთი თვე... ველოდეთ აგრონომს და კიდევ არსად იყო. მერე შევუდგეით მის ძებნას და ამ ორი დღის წინ ერთი ნახნავის ბოლოს ვიპოვეთ მხოლოდ ცალი კალოში, გატეხილი სათვალეები და პორტფელი — მავნებლებთან ბრძოლის გეგმებით გაჭედილი. თვით აგრონომი კი არსად აღმოჩნდა.

გლეხობაში ხმა დადის, რომ ქსოვრისის რაიონის აგრონომი გმირულად დაიღუპა კალიასთან ბრძოლის დროს.

ძვირფასო ამხანაგო, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

ლიახვი.

## სინამდვილე

— რატომ დასწერე მასწავლებელ ქალზე მამხილებელი შენიშვნა?

— სხვას ეარშიყება, მე არაფრათ მაგდებს და მიტომ.

— ვაჟმა მასწავლებელმა რაღა დაგიშავა?

— ის იმ ქალის „კავალერია“.

## მელიას თავგადასავალი

საწყალი დათა ჩიოდა:
— არ მომივიდა ძილია,
სოფლის კოლექტივს მივაგენ,
გამოუთხარე ძირია,
ქვრივსა და გახათხოვარსა
ყველას გავკარი კბილია.

შენიშვნა: ზოგიერთი „უმეცარი“ წაიკითხავს ამ ლექსსა და იფიქრებს — ეს ალბად გორის ოლქის სოფელ ხურვალეთის კოლექტივის თავმჯდომარე დათა კობაძეზე არის დაწერილიო. ჩვენ არავის უშლით, — ვინც რა უნდა იფიქროს. ვიცით კი, რომ „სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს“.

## გამომგონებელი

მემარჯვენე: — ვითომ პარტია და ხელისუფლებაც ხელს უწყობს გამომგონებლებს. სრულებითაც არა. აიღეთ ჩემი მაგალითი: მე სრულიად ახალი თეორია გამოვიგონე და ამისათვის კინაღამ პარტიიდან გამომრიცხეს.



თბილისის მესამე რაიონის კონფე-
რენციაზე ერთმა ამხანაგმა განაცხადა:
„რა იყო, რა მოხდა, განა ასეთი დიდი
საქმე უსისხლოდ კეთდება“-ო?
ასე გაიგო მან იმ შეცდომათა გაკვე-
თილები, რომელიც კოლექტივიზაციის
მშენებლობაში იყო დაშვებული.
ამხ. ლ. ლოლობერიძის სიტყვიდან
საქ. პარტყრილობაზე.

## აი ზოგიერთებმა როგორ გაიგეს პ

### შეჯიბრებაში ვიწვევ

სოფელ ბაკურციხის გლეხკომის გამგეობას გლეხკომის თონეში გამომცხვარ პურში ამოაჩინონ იმდენივე: ლურსმანი თოკის ნაგლეჯები და შემწვარი ვირთაგვები, რამდენიც მე ამოვაჩინე ერთი დღის განმავლობაში. სახელდობრ, სამ გირვანქა პურში—ერთი გირვანქა უტილნედლეული.

ასეთი ხარისხის პური არც ისე ძვირია. გირვანქა მხოლოდ 25 კაპეიკი ღირს.

პატივისცემით ნალვდლარი დიაკვანი.

●

### 100 მანეთი ჯილდო

ვინც სალათას ძილიდან გამოაღვიძებს სოფელ ყვარელის გლეხკომის გამგეობას. ხუთი თვე შესრულდა, რაც განცხადებები შევიტანეთ საგაზაფხულო თესვაში დახმარების მისაღებად. თესვაც დამთავრდა, საცაა ყანებს კალია გაანადგურებს და გლეხკომის გამგეობას ჩვენი განცხადებები ჯერ არ განუხილავს.

ზოგიერთების ცნობით, გლეხკომის გამგეობას მდ. დურუჯის სათავეში ისეთი მოწითალო ფერის რაღაც სითხე დაულევია, რომლის შემდეგ სრულიად დაკარგა ცნობიერება და საქმის კეთების უნარი.

გლეხკომის წევრების ჯგუფი.

## ღია წერილი

ლუკა შურღულიას სოფ. ხორშაში

ლუკიანე, არ გცხვენია შე გლახა! რავა შეგშინებია ბიჭო!

ვერც ეგ რაცხა გამწმენდი კომისია და ვერც ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს.

კი გიჩივიენ ბიჭო, მარა რაზე!

უხეშად ეპყრობი გლეხებსო! შე კაცო მარტო შენ ხომ არ იქცევი ასე. ასეა ძამია ყველგან.

რაო, საქონელს ზედმეტ ფასებში ყიდისო? მერე რაია! მაშ რამ უნდა არჩინოს შენი ოჯახი. გონია ბიჭო საქონელს მარტო შენ ყიდი ზედმეტ ფასებში? არა ძამია, ასეა თითქმის ყველგან.

კი მახსოვს ჩემო ლუკიანე, სენაკში ნოქრად ყოფნისას, რო გაფლანგე ფული, რო შეადგინე ყალბი საფუთები. მაგრამ რაია, რა მოხდაო! ვითამ შენს მეტი არავინ ადგენს ყალბ საფუთებს?..

მერე და ბიჭო ამისათვის ხომ იჯექი ერთი წელი მეტეხში. რაო, ვითომ საკმარისი არააო? ვინცხას საკმარისად არ მიაჩნია, ქე წავიდეს და ქე დაჯდეს მეტეხში.

ბრალად გდებენ, ხორშის კოოპერატივს, რომ დოუწყე ჭამა? ბიჭო, აბდალია ვინცხა. ცხელ ხაჭაპურს, რომ მოუდგამ, შესჭამს ვინცხა, აბა რაია! შენც სჭამ ჩემო ძამია, კიდევ ჭამე და შეგარგოს ღმერთმა.

შენც არ მომიკვდე ჩემო ლუკიანე, რო გამწმენდ კომისიამ ვერაფერი დაგაკლოს.

ბიჭო და შე სულელო გაზეთებს მაინც არ კითხულობ. ქვეყანა მოხსნეს, მარა ქე აღადგინეს. მადლობა ღმერთს ჯერ არავის მოუხსნიხარ.

ასე ჩემო ლუკიანე, ნურაფრის დარდი გექნება. იყავი კარგათ. თუ გაუწყრათ ღმერთი, ვაჟკაცი არ ხარ თუ! მაინც ჩვეული ხარ და ურტყი ყველას, თვალები დოუბრმავე მტრებს.

შენი ჭიჭო ჭიჭიკოს ძე ჭიჭიკავა.

## ყველას! ყველას! ყველას!

ლაპარაკობს თბილისი. მოუსმინეთ „შოლტი“-ს რედაქციას.

ვეძახით სუფსის კოლექტივის ხელმძღვანელებს—რაჟდენ, კალისტო და ბესარიონ ტიკარაძეებს.

სამნი ძმანი ხართ, შეგეწიოთ სამება და სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგი. თქვენ ჟეორე წელიწადია ალსარება არ გითქვამთ, სამაგიეროთ გულახდილათ გაუმჟღავნეთ თქვენი შეცოდებანი შოლტიანს, რამეთუ მოგიტეოთ შეცოდებანი თქვენი ნებსითნი და უნებლიეთნი.

პირველი კითხვა. რა უყავით ვაშლისა და მსხლის ნერგები, რომელიც კოლექტივის სახელით გამოიტანეთ საკრედიტო ამხანაგობიდან?

პასუხი. მართლაც გულთამხილავი ბრძანებულხართ და რაკი არაფერი გამოგეპარებათ, ჩვენც გეტყვით ყველაფერს, ოღონდ მოგვიტევე და შეგვიწყალე... ჩვენ მართალია, კოლექტივის სახელით გამოვიტანეთ ნერგი საკრედიტო ამხანაგობიდან, მაგრამ ის კოლექტივის მაგივრად ჩვენს მამულებში გავაშენეთ, ფული კი კოლექტივიდან გადავიხადეთ.

კითხვა მეორე. რამდენი ფუთი სიმინდი მიითვისა რაჟდენმა 1929 წელს და ვისი იყო ეს სიმინდი?

პასუხი. ესაც სრული ჭეშმარიტება გახლავთ. სიმინდი მოვიდა გლეხებზე დასარიგებლად, თითოზე შვიდ-შვიდი ფუთი უნდა დამერიგებინა, მე კი ექვს-ექვსი ფუთი დავარიგე, დავთრებში შვიდ-შვიდი ფუთი დავაწერე და გადარჩენილი 15 ფუთი მე მივისაკუთრე.

კითხვა მესამე. სხვა შეცოდება ჩაგიდენია რამე თუ არა?

პასუხი. სხვა არაფერი ჩამიდენია, მხოლოდ ეხლა ვაპირებ ერთი დიდი შეცოდების ჩადენას და იმედია წინასწარ მომიტევებ ამ შეცოდებასაც.

## სურამში

სურამში ბიჭ
ერთი შეხედე
არ ჰყოფნის
ღვინის სმის
მუშტი-კრივშ
ვაჭრის ოჯახ
მერწმუნე „შო
და საქმისათვ
შველიძეს არ
ჩიჩუა ღვინის
მან პირველო
ჩხუბსა და ც
ივანე დიდებ
განზე ურბიან
რადგან ვერ
თუნდ აუხვიო
შოლტო არაფ
არც აგრონომ
მას ურჩევნია
პურით და ღ
მიტომ დადი
არის სმაში
თითიც არ გ
მას გაზაფხუ
შოლტო, მოგ
მალე ისწრაფ
სურამელ „გ
დასწვი და ა

## მხიარულ

სიღნაღი

— გამიშვით, გამიშვიიით, ცოცხალს არ გაუშვებ. მომკლა,
— რა იყო კაცო, დამშვიდდი. ისეთი ვინ იყო, რომ ბოლო
— როგორ თუ ვინ! არ იცი ეს იოსებ ტერ-დავიდოვი რა
— მოიცა კაცო. დადექი. მაინც ისეთი რა გითხრა, რომ ას
— მითხრა კი არა, უარესი. წარსული წლის ნოემბრის პირ
მოცეჯერ ამოველ მაჩხაანიდან და დღესაც ისევ ხელცარიელს მ
— მერე და მაგისთვის ჯავრობ შე კაი კაცო?
— როგორ არ ვიჯავრო, სამი წყვილი ჩექმა დავცვითე,
დება და მთელი ჩემი შეკვეთა კი სულ 12 მანეთის საქმეა. გამიშ
— შე ოჯახ აშენებულო, მაგას ეგ ხასიათი მამისაგან აქვს
რას აგრძელებდა და ერთ მიცვალებულს იმდენი უქნია საცეცხ
— ჰო და, გამიშვი, რომ ეგაც იმ ჩემ შტემპელებს თან გა
ვინ იცის ეს გაწევ-გამოწევა რით გათავდებოდა, რომ ჩ
როვილიყო, შეკვეთების მისაღებად. ზოგიერთ მათგანს შეკვეთა
მოჩხუბარმა რომ ეს გაიგო გულზე მოეშვა და დაწყნარდა,
მოჩნდა. გეელოს პადვლიდან მოდიოდა და სირინოზის ხმით მო
არა ღირს...

გაამოს იოსებჯან!



...პარტიის ხაზის პირდაპირ გატარება!

## ...ის რამე-რუმე

...ჯსა შველიძეს
...ეთ ფერზედა,
... არც 10 კვარტი,
... ერთსა ჯერზედა.
...შია განთქმული,
...ბის წევრია.
...ოლტო ხულიგნობს
...ვის მტერია.
...ი ჩამორჩება
...ს ყლაპაში,
...ობა აილო,
...ჯემა-ტყეპაში.
...ულიძეს
...ან ქალები,
... იშლის თავის ზნეს...
...ო თვალები.
...ფრათ არ ვარგა
...ამი ვასილი,
...ა ოჯახი,
...ევენით ავსილი.
...ის და ქეიფობს
...და ხვნეშაში,
...აუნძრევია,
...ულის თესვაში.
...აგვლის სურამი,
...ფე, იარე,
...გმირებს“ ჯილდოები
...აუიარე! პეპელა.

# შემთხვევა კაცხში

ერთი დღით მოვხვდი სოფ. კაცხში. ძალიან მსურდა აქაური ქალების გაცნობა, მაგრამ ბევრხანს ვერაფერს გავხდი.

ბოლოს როგორც იქნა მომეცა შემთხვევა და გავიცანი ერთი ლამაზი ქალი ელიკო ესაიაშვილი.

მომეწონა—მოვეწონე, შემიყვარდა მასაც შე უყვარდი და საქმე იქამდე მივიდა, რომ ელიკომ პირდაპირ გამიცხადა:

— მაშ ქორწილს ნუ დავაგვიანებთ!

— თანახმა ვარ, მაგრამ მომზადება გვინდა, —სწრაფად მიუგე მეც.

— მე ყველაფრით მზათ ვარ. მზითვი მთლად დამზადებული მაქვს. ეხლახან კოოპერატივიდან სულ ცოტა 85 მეტრო მიტკალი. გამოვიტანე, 45 მეტრო საბნის პირი, შალეულობა, სხვა თეთრეული, 2 ფუთამდე შაქარი და სხვა მრავალი. ესეც რომ არ იყოს მამა დიდი შეძლების კაცია, კულაკებს გვეძახიან.

— საინტერესოა ასეთი ნაკლებობის დროს, როგორ მოახერხეთ კოოპერატივიდან ამდენი ფართლეულის გატანა?

— ადვილათ!

— ალბათ თქვენი ნათესავი იქნება კოოპერატივის ნოქრად.

— არა მე თვითონ ვმუშაობ კოოპერატივში.

— თქვენ თვითონ? მერე როგორ ახერხებთ ამას?

— ადვილათ, კოოპერატივი ჩემს ხელშია, ვინ კითხავს ან გამგეობას ან ნოქრებს.

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ. პირობა მივეცი, 4-5 დღეში მასთან საქორწილოთ მოვალ, გამოვემშვიდობე და წამოველ.

თბილისში ბევრი ვიფიქრე და გადავსწყვიტე ელიკო არამც და არამც არ შევირთო. არ

ჩემო ელიკო!

ნიშნად იმისა, რომ მე ვერ შეგირთავ, ვათავსებ ამ პატარა ცნობას „შოლტში“. თუმც ძალიან მენანება შენი თავი და განსაკუთრებით შენი ქონების ხელიდან გაშვება, მაგრამ მაინც ვერ შეგირთავ. არ გაიტეხო გული. რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ დაგფაროს კოოპერატივის გამგეობამ და უვნებლად გადარჩე. თუ ეს ასე მოხდა, მაცნობე და შეიძლება დაპირება შეგისრულო.

კრაზანა.

# მოწოდება ვაჭრებს

ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, პატენტიანო და უპატენტო ვაჭრებო, სპეკულიანტებო, ბითუმად და ფეხზე მოვაჭრე ჩარჩებო, თქვენ, რომელნიც არა ერთხელ წამებულხართ საგადასახადო ინსპექტორების და აქციზნების ხელში, თქვენ მოგმართავთ და მოგიწოდებთ თქვენთან ერთად წამებული სოფელ ქვიტირის ვაჭარი გერასიმე ჯოხაძე შემდეგი მოწოდებით:

ამხანაგებო, დროა ანგარიში გაუწიოთ რევოლიუციას. ჩვენი ხსნა და შველა არსაიდან არ არის. ნურავითარი იმედი ნუღარ გექნებათ საზღვარგარეთიდან, ჩვენი ხსნა და შველა ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ამიტომ საჭიროა შევეგუოთ ახალ ცხოვრებას, ჩვენც შევიდეთ კოლექტივებში და ისე გამოვიყენოთ ეს ცხოვრება, როგორც ეს ჩვენთვის საჭირო და სასარგებლოა.

პირადათ მე შეველ ქვიტირის სასოფლო სამეურნეო არტელში და ალბად მალე არტელის თავმჯდომარეთაც ამომირჩევენ. წინათ თუ ასი თუმნობით ვიხდიდი პატენტში, ეხლა, როგორც არტელის წევრი, უპატენტოთ ვვაჭრობ და ჩემი ხმის გამცემი არავინ არის.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ პატარა მოხერხება და სოფლის მესვეურების პატივისცემა.

გამოიყენეთ ჩემი რჩევა-დარიგება და იკმარეთ ის ტანჯვა-წამება, რომელიც მრავალჯერ გადაგიტანიათ საერთაშორისო ძმობა-ერთობისათვის.

გერასიმე ჯოხაძე.

# ...ი სურათი

...ის სტამბის წინ

...ა, ბოლო მომილო კაცს! მთელ წელიწადს მატყუა და უქმად მატარა!
...ის მოღება დაგიპირა!
... კაცია? გამიშვი მეთქი, გამიშვი...
...სე ალელდი!
...რველ რიცხვებში შტემპელები და ბეჭდები შევუკვეთე. აი ეს მეორე მისტუმრებს.

... ორმოცი თუმანი გზაში დავხარჯე, თითო ამოსვლაზე თუმანი მჭირ...შვით, გამიშვით მეთქი...
... დაყოლილი. ცხონებული, თითო მიცვალებულის დამარხვას ორ კვი...ზლური, რომ ბოლოს თვითონაც თან გადაჰყვა.
...კავაყოლო, გამიშვი.
...ჩხუბის დროს სტამბასთან სხვა სოფლებიდან მოსული ხალხიც არ შეგ... მამა მისის სიცოცხლეშივე მიეცა, მაგრამ ჯერ კიდევ მზად არ იყო.
...ა. ამ დროს სად იყო, სად არ იყო თვითონ იოსებ ტერ-დავიდოვიც გა...ოიმღეროდა: სიცოცხლეეე ჩალათ არა ღირს... სულ ერთ შტემპეეელააათ

ჭიხაკო ძია.

# უცნაური

## ავადმყოფობა

დამჩემდა. დავინახავ თუ არა გლეხს ჩემს კაბინეტში, ყელში საშინელი ღიტინი მემართება, თვალები მეჭყიტება, პირი მეჩაჩხება, სახე მეჭყანება, ცოფიანივით დორბლი მომდის და ვიწყებ ყვირილსა და გინებას...

დღემდე ვერც ერთმა ექიმმა ვერ მომარჩინა. თუ ვინმემ რაიმე წამალი იცის, ნუ დაიშურებთ...*)

ჩხარის კოლმეურნეობათა რაიკავშირის თავმჯდომარე ცერცვაძე.

# „სტოი ფაეტონ“

## აბაშაში

მეშინდვრეობის კავშირის განყოფილებასთან მოვაწყე რესტორანი „სტოი ფაეტონ“!-ის სახელწოდებით, სადაც ულამაზეს გოგონებს მოაქვთ უუგემრიელესი კერძები: მკერდები ნავერტილე, დაბეგვილი სუკები და აზელილი ტვინი.

აქვე მოწყობილია ფოტოგრაფია, სადაც სურათების გადაღება სწარმოებს მხოლოდ „ადამ და ევას“ კოსტუმებით. ქეიფი — კრუგომ 16.

დაასხი დამალევინე—თქვენი კავშირის რწმუნებული კოლია ახალშენიშვილი.

*) ორი პორცია პანღური—საუკეთესო წამალი იქნება თქვენთვის. შოლტიანი.

# ჩვენი პასუხი

ჭინჭრაქას. მშვენიერი სახელი გაქვთ, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, თქვენი წერილის ეს ადგილი არ მოგვეწონა: სოფელ ხაშურში გლეხს სოსო არჩუაძეს მოუკვდა ხბო, საბჭოს წევრმა გიორგი წიქარაძემ-კი მოწმობა მისცა, ვითომ მას ძროხა მოუკვდათ.

მერე და რა დიდი საქმე მომხდარა? ის ხბოც ერთი ორი წლის შემდეგ ხომ ძროხა გახდებოდა!

თქვენ ეს კი არა, ის უნდა დაგეწერათ, რომ წიქარაძემ ამ მოწმობით არჩუაძეს სახდაზღვევის საagენტოდან ფული გამოუტანა, ესე იგი აშკარა ბოროტმოქმედება ჩაიდინა. აი მაშინ დავბეჭდავდით თქვენს წერილს.

# ნუკიპ რტეგი იანეთს

მაჯლაჯუნათ გულზე მაწევს
და არ ძალმიძს არ ვსთქვა რამე,
თუ ამ სოფლის პრტყელ „სიტყვისტებს"
ცოტა მაინც არ ვაამე.

—:—

ამისათვის შევიარე
და გლეხკომი ვინახულე,
ცრემლი წამსკდა, ავქვითინდი,
შვიდი ღამე ვიმარხულე,
ვეღარ ვნახე ვერც გამგე,
ვერც მდივანი — „სეკრეტარი",
დაჟანგული ბოქლომით მას,
დაკეტილი ჰქონდა კარი.
და საიქმლოდ სკოლის დარაჯს,
ხის ქვეშ მჯდომსა მოვკარ თვალი.
მითხრა: გლეხკომს ნულარ ეძებ,
ვაი მისი ცოდვის ბრალი!
იქვე აბრა წავიკითხე,
სამკითხველოს სახელ-გვარი;
შიგ არავინ არ დამიხვდა,
თუმცა ღია იყო კარი.
გამოვბრუნდი გზაში ვნახე
კოლექტივის თავმჯდომარე,
სადგურისკენ მიდიოდა
და მეც იმას ავედევნე.
ვკითხე თესვის კამპანია
მოთავდა თუ რა უქენით?
არ ვიცით,—მიპასუხა
მომხიბლავი ტკბილი ენით.
რომ დავცილდი, იქვე ერთმა,
სიცილის ქვეშ მიპასუხა:
სარდიონმა კოლექტივი
ლაი-ლაით შეაწუხა.
სულ მუდამ დღე ბაზარში.
სამუშაოდ აღარ გადის,
სასადილოს არ შორდება,
უყვარს ღვინით გახსნა მადის.
შოლტო, შენთან მომასწავლეს
თუ ხარ მაგრა დალევდილი,
განურჩევლათ მოსცხე იმათ,
რომ აეწვას ყველას რბილი.

შიკში.

# სსს... მოუსმინეთ ვეზათის რადიოს!



— ყური დაუგდე! ხმაური ისმის, ჩვენი რადიო მუშაობს!
— რადიო კი არა, ხედავ ობობას ქსელში გაბმული ბუზები ბზუიან!

ა. წ. 20 ივნისს დაბა ჩხარში მოწვეულია გლეხკორთა მდევნელების და მფლანგველების

**სარაიონო კონფერენცია**

დღის წესრიგი: 1. გლეხკორების მდევნელების და მფლანგველების საანგარიშო მოხსენება.

2. გლეხკორთა მდევნელების და მფლანგველების მუშაობის პერსპექტივები.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

გლეხკორთა მდევნელების და მფლანგველების ხელის შემწყობ ბიუროს თავმჯდომარე ნ. ჯიხვაშვილი

# საეჭვო წერილი

ადგილობრივს. ვერ დავიჯერებთ რომ სოფელ წკადისის მასწავლებელმა გრიშა ენუქიძემ მიითვისა და შემდეგ ამისა ერთ კვირაში ხელდახელ შეჭამა 200 მანეთი სასოფლო ფული და 20 ფუთი სიმინდი. ფულის შეჭმა კიდევ არაფერი, მაგრამ სად გაგონილა, რომ რაც უნდა გაუმაძღარი და მსუნაგი კაცი იყოს 20 ფუთი სიმინდი შესჭამოს?

ინგლისელ მეცნიერების გამოანგარიშებით, საუკეთესო თორკმეტის ლორიც კი ერთს კვირაში 10 ფუთ სიმინდზე მეტს ვერ სჭამს... ამიტომ თქვენი წერილი „შოლტის" რედაქციამ საეჭვოდ ჩასთვალა და გოდორს უთავაზა.

# კითხვა-პასუხი

— შეხე იმ მედუქნე გუცას,
რას დაუშვია ცხვირი?
ეტყობა კოოპერაციით
მას ადგას გასაჭირი!
—მეტი რა გზა აქვს, აქედან
ჩვენც გავკრათ იმას კბილი,
სამპირ ტყავს გვაძრობდა, მისგან
დღე არ გვქონია ტკბილი!
— შეხე იმ ყოფილ აზნაურს
დალონებია გული,
სჩანს ჩვენი შური და მტრობა
მას კვლავ აქვს დაფარული!
—ბევრს მისნაირს აბითურებს
დღევანდელი დროება,
საბჭოთა ხელისუფლებამ
მოუსპო მყუდროება!
— შეხედე აგერ იმ კულაკს
მწუხარება აქვს სულში,
რომ ხედავს ჩვენს სიმღერასა
და ჩვენს გუთნეულს ხნულში.
— მაშ რაღა ქნას კოლექტივმა
მოუსპო ჭამის მადა,
აღარ იცის როგორ გვიმტროს,
ან ჩაგვისაფრდეს სადა!
— აიმ ნამამასახლისარს
სახე რად მოღრეცია,
წინად ჩადენილ ცოდვებზე
ნუთუ მასაც ეწია?!
— ჩვენი ცქერით ჯავრზე სკდება
და იმაზე ლონდება,
დღევანდელს ვერ ეგუება,
ძველი დრო აგონდება!..
— თუ იცი ის ვილა არის,
არ სჩანს გუნებაზედა,
იშკილიდან დავარდნილა,
კი არ ვიცი რაზედა!..
— ეგ ალმასკომის ყოფილი
თავმჯდომარეა მგონი,
რაც იქიდან პანღური ჰკრეს,
ცოტა მოაკლდა ქონი!..
— ის ვილაა, ნეტა რა აქვს
იმ გაცვეთილ პორტფელში?
იშვიათად თუ მოჰკრავ თვალს
მას ოდესმე სოფელში!
— ამბობენ, აგრონომია,
ასე მოვკარი ყური...
მაგის რჩევა არ მსმენია —
როგორა ვთესო პური!..

ამბა!

## ყიყლიყოოო!

მატანშია სამკითხველო,
სანაქებო სუფთა, ფართო
შოლტო, ვეძებ მაგიდაზედ
— გაშლილი თუ გაიმართო.
ან და კიდევ ასი ფუთი
ნაგავი არ დაგეყაროს,
არ გეგონოს გამგე მაშინ—
ან დარაჯი დაგეხმაროს.

მატანელი.

## კარგი საშუალება

— დღეში 2-8 კონვერტს უგზავნი რედაქციას, თითო კონვერტში 10-15 კორეს. პონდეცია ვდებ, რად გჭირდი ამას?

— ვერ მივხვდი!

— რა ძნელი მისახვედრია. რედაქცია წერილებს ასე ოოლად არ ბეჭდავს და როგორ არ შერცხვებათ, რომ ათში ერთი მაინც არ დამიბეჭდონ?

## თარიღის ბრალი

— არა გრცხვენიან, ყალბი წერილი დასწერე და რედაქცია შეცდომაში შეიყვანე?

— რედაქციის ბრალია, წერილის დაბეჭდვა დააგვიანა და გაპიანურების შემდეგ აღარ დადასტურდა.

—როდის გაუგზავნე რედაქციას წერილი?

— ასე მაისის ოცი იქნებოდა.

— მაშ საიდან დაგვიანებულა, წერილი გაზეთის 27 მაისის ნომერშია დაბეჭდილი.

— მაშ ათ მაისში მექნება გაგზავნილი.

## მოღვაწის გულახდილობა

— ჩვენი კოოპერატივი ფეხზე დადგა.

— როგორ?

— როგორ და ხალხი კმაყოფილია კოოპერატივის მუშაობით. რა გინდა მოიკითხო, რომ კოოპერატივში არ იყოს. გლეხობა უდიდეს მადლობას უცხადებს კოოპერატივის გამგეს.

— მერე ვინ არის კოოპერატივის გამგე?

— ვინ უნდა იყოს, მე ვარ!

# ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა



— აკი წინეთ კოლექტივიზაციის წინააღმდეგი იყავი. ახლა რატომ შედიხარ არტელში?

— უნივერსიტეტში კოლექტივის წევრებს თურმე პირველ რიგში იღებენ!

## ჩვენი ფოსტა

წილკნელს. იწერებით, რომ მუხრანის ფოსტა - ტელეგრაფის გამგეს გლეხები ხშირად წითელ სასადილოში დაეძებენ, რადგან ფოსტა დაკეტილია. თქვენი წერილის აზრი ვერ გავიგეთ. ის გიკვირთ, რომ ფოსტის გამგე წითელ სასადილოში დაიარება? თუ ის, რომ—როდესაც გამგე სასადილოშია, ფოსტას კეტავს?

ჩვენის აზრით არც ერთია საკვირველი, არც მეორე. საკვირველი მხოლოდ ის არის, ასეთ „გამგეს" დაწესებულება ვინ ჩააბარა?

ასკანელს. თქვენი წერილი მოგვყავს სიტყვა-სიტყვით: ასკანის საბჭოს მდივნად დანიშნეს ვანო ჯაველიძე, რომელმაც ხიდისთავში უკვე შეახსნა 1000 მანეთი სასოფლო თანხა. მან კიდევ რამდენიმეგან შეჭამა სასოფლო ფული და დღეს ჯამაგირსაც იღებს და პენსიასაცო. მერე და ეს კაი კაცო რამ აგაშფოთა. კაცს ჭამის მეტი უნარი არ ქონია და მიტომ დაუნიშნავთ პენსია... ამაზე ქაღალდს როგორ ხარჯავდი?!

არხენას. ეს ოჯახაშენებული მაგ სახელის პატრონი გულდამშვიდებით როგორ უცქერი — როდესაც ნატანებელი კულაკი სამუელ თავაძე ასე „ულმერთოდ" ჯერ ამუშავებს და შემდეგ სცემს მოჯამაგირე ალექსი მართანიას! შენი სეხნა—არსენა ყაჩაღი მაინც მოიგონე—როგორ ესარჩლებოდა ღარიბებს; თუ მაგ მოსისხლე კულაკს ვერ მოერევი, საბჭოს თავმჯდომარეს მაინც მოსცხე*), მაგარი, რომ მოჯამაგირის უმწეო მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს და სოფელში კი ეპისკოპოზივით გაბერილი დაიარება...

*) მუშტით ცემა აკრძალულია. შოლტი ყველას სჯობია.

## ნიგოითი

რადიო ერთდროს ხმიანი.
როგორც ელირსა,

დაგვიდგეს

მაგრამ უეცრად დადუმდა,
ალბათ შეემთხვა ზიანი.
სძინავს, პატრონი არა სჩანს,
პედკოუილად განაწირია.
შოლტო, არა გვყავს

პატრონი

და დღეს ამაზე ეტირია.

პით.

## ისარგებლეთ შემთხვევით

ქვემო-სვანეთის სოფელ ჩოლურში გავხსენი დიდებული სამიკიტნო „წითელ სასადილოს" სახელწოდებით. ქეიფი დღე და ღამე დოლით და ზურნით. მწვადები ცვრიანი, ღვინო წყლიანი, ცხვირ - პირის მტვრევა იაფ-ფასიანი.

სტუმრები უფასოდ სარგებლობენ გვერდების ზელვით და ტალახის აბაზანებით, რომლებიც შიგ სამიკიტნოშივე მაქვს მოწყობილი.

იცოცხლე და იმრავლე ჩემო მუშტარო!

უმდაბლესი მორჩილებით
სპირიდონ ხაბულიანი.

## მშრომელ გლეხობას

საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ვისაც უნდა კოოპერატივის სავაჭროდან შეიძინოს ნავთი, შაქარი, მარილი და ფართლეული, მან აუცილებლად ხელპირი „დუხით" და „ოდეკალონით" უნდა დაიბანოს.

გლეხ-ქალებს ამის გარდა აუცილებლად ევალებათ კოოპერატივში მისვლის წინ თრპირად წაისვან და წაიცხონ პირის ფერი პუდრი, ხოლო თმები შეიხუჭუჭონ კოოპერატივის მიერ ხაგანგებოდ მოტანილი შპილკებით.

დუხი, ოდეკალონი, პუდრა, შპილკები განუსაზღვრელად შეგიძლიანთ შეიძინოთ ჩვენი კოოპერატივის ყველა სავაჭროში. უამისოდ სხვა საქონელს ვერ მიიღებთ.

სოფ. წინანდალის კოოპერატივის გამგეობა.

# ქინო-სურათი ონის ცხოვრებიდან



ფოსტა-ტელეგრაფში კაპარავა კიტრის ნაფცქვენებზე ქეიფობს, საქმისთვის არ სცალია.



სასამართლოში მისული გლეხები დასტირიან უკვალოდ დაკარგულ მოხელეებს გუგუშვილსა და კირვალიძეს.



სასტუმროში ბაღლინჯოებისა და ტილების იერიში შუაღამისას. ზარდაცემული ღამის მთევლები გმირულად იბრძვიან.



ყოველდღიური ამბავი კოოპერატივის წითელ სასადილოში.